

შინაარსი: კვირიდან კვირამდე — სხვა-და-სხვა ამბავი. — კვალის "კორესპონდენცია" — ლექსი "დ. თომასვილი" — თხზულებანი შამია გურიელისა (შემდეგი) ივ. გომართელისა. — ბიბლიოგრაფია გ. წერეთლისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — ეს ძველი ფულა (შემდეგი) სოფლის ვაჭრისა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

კვირიდან კვირამდე

ქ ი ზ ი ყ შ ი .

სოფელში — სხსლეხი — წყარო — ღუქანი — ეკლესია — სკოლა — მიწის საერთო მფლობელობა.

შვეიდეთ ქიზიყის სოფელში. სოფელი გაშენებულია მთის კალთებზე და მომალლო ადგილებზე. თითქმის მთელი ქიზიყი ერთ ვიწრო ხეობაშია მომწყვდეული და სოფლებაც ერთი-ერთმანერთზე მიკრული. ასე რომ ორიოდ საათში მთელ ამ კუთხეს თავიდან ბოლომდის გაივლით. პირველ ყოვლისა თქვენ უურადლებას, რასაკვირველია, სოფლის გარეგანი შეხედულობა იქცევს. ქვით-კირის სახლები, კრამიტით დახურული და საკუთარი ეზოთი გარშემორტყმული-ერთი შეხედვით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. მარა რაც უფრო უახლოვდებით და საგანს ახლო შინჯაეთ, ეს შთაბეჭდილებაც ნელ-ნელა ჰქრება. არც ერთ ამათვანს არ ატყვია სიწმინდის და სიუაქაზის ხელი. ყველაფერი რაღაც მიყრილ მოყრილია, ყველაფერი ნაჩქარევით გაკეთებული გგონიათ.

სახლი გძელი და დაბალია, შედგება ერთი მოზღლი ოთახისაგან. ზოგ ახალ მოდის მიმდევართ ამ ერთი ოთახისთვის მეორეც მიუდგამთ. შეძლებულ გლენთ ორ-სართულიანი სახლი აუშენებიათ, გარედან ძალიან დიდ შენობას წააგავს, ოთხი-ხუთი ოთახი მაინც იქნებაო ფიქრობთ. აღიხართ მალა და ხედაეთ მხოლოდ ერთ ოთახს, მარა ისეთ ზორბას, რომ ცხენი გაჭენდება შიგ. ეს რომ გადაეკედლათ ორი-სამი ჩინებული ოთახი გამოვიდოდა. ამ ზორბა ოთახს აქვს ერთი ზორბა ტახტი, რამდენიმე საყენი სივრცე და რამდენიმე არშინი სიგანე. აი აქ იძინებს მთელი ოჯახი. ახალგაზნდა თუ ბებერი, გათხოვილი თუ გასათხოვარი, ახალ ჯვარ დაწერილი თუ ჯვარ-საწერათ გამზადებული, მელოგინე თუ მოსალოგინებელი — ერთი სიტყვით ყველა აქ, ამ ერთ ტახტზე ჰპოებს სიტკბობას თუ სიმწარეს, ძილს თუ მოსვენებას. და რადგანაც აქ ხშირათ დიდი, მრავალ რიცხოვანი, ოჯახია, ადვილი წარმოასადგენია თუ რა ბაბილონის გოდოლს უნდა წარმოადგენდეს ეს საარაკო ოთახი მისი საარაკო ტახტით. მარა ამ ტახტზე არა მარტო ისვენებენ, არამედ კიდევაც სადილ-ვან-შმაბენ. ეს საწოლიც არის და სტოლიც. აქ იმარ-

თვის სხვა-და-სხვა ნაირი მეჯლიშები და ქორწილები. ამ აზიურ სტოლზე თქვენ ხშირათ შეხედებით ევროპულათ გაკეთებულ საქმელებს, მისი დანა-ჩანგლით და მოდის საინებით. ღარიბი გლეხი, რასაკვირველია, ასეთ გავეროპიელებს მოკლებულია, მისი ტახტის დამაშვენებელია ერთი კვირის გამომცხვარი პური, სანახევროთ დაობებული, და ერთი ჯამი ლობიო. აი მთელი მისი გასტრონომია. უფრო ხშირათ ცარიელი პურითაც იოლათ მიდიან. ყანაში — გინდ ვენახში — მომუშავე გლეხს პური, ტილოში გამოკრული, ჯიბეში უდევს და როცა მოუწდება მოკბენს. ეს არის მისი სადილიც და სამხარიც.

* *

სოფელი დიდ გაჭირვებაშია უწყლობით. აქ მღინარე არ არის. აქა-იქ მხოლოდ წყაროებია და აქედან ვირებით ეზიდებიან სასმელ წყალს. წყარო ხშირათ რამდენისამე ვერსტით არის მოშორებული ოჯახიდან. წყაროსთან, რა უროსაც უნდა მიხვიდე, დედაკაცებით და ბავშვებით იქაურაბა სავსეა. თვითოეულს ხელში კოკა უჭირავს და თავის ჯვრს უცდის. ხანდახან დედაკაცი ცალ წინდას მოქსოვს, სანამ ის კოკის აესებას ეღირსებოდეს. იქავე ძოვს კოკის ასაკიდათ შეკაშმული ვირები. ქიზიყი, საზოგადოთ, ვირების სამშობლოა. არა მგონია თვით ინდოეთშიაც მოიპოვებოდეს იმდენი ვირი, რამდენიც აქ არის. უვიროთ აქ ცხოვრება არავის არ შეუძლია. რაც უნდა ვირის მტერი იყო, თუ აქ დასახლდი, პირველ ყოვლისა უთუოთ ვირს გაიჩენ. აი, რა ძალა და გავლენა აქვს ვირს ქიზიყში! წყარო უვიროთ და ვირი უწყაროთ წარმოუფენელია. წყარო ეს ერთნაირი ცენტრია, აქ იმართვის წლოვანთა თუ უწლოვანთა თავყრილობა, აქ ითხზება ყოველნაირი ჭორები და ეფინება მთელ სოფელს, მთელ ქიზიყს. აქავე წარმოებს არშიყობა, ლანძღვა-გინება და ხშირათ გაჯობევაც. ერთი სიტყვით წყარო ქიზიყელთა კლუბია. მარა ასეთ სასარგებლო დაწესებულებას ძალიან უდიერათ ეპყრობიან. იშვიათია ხეირიანათ გამართული წყარო. არც ქვით-კირით ამოშენება, არც კრანების გაკეთება, არც აუზის გაფართოება, არც გადახურვა — არაფერი ისეთი, რაც კაცის მოქმედების შედეგია.

* *

სოფლის მეორე საპატოო დაწესებულება განლაგსთ დუქანი. დუქანთა სიზრავლე გასაოცარია. რაც უნდა პატარა სოფელი იყოს, 20 — 30 დუქანი მაინც იქნება. კვირა-უქმე დღეს აქ იკრიბება ხალხი და დროს ატარებს ან სამიკრტონში ღვინით ან და ქუჩაზე ლაზღანდარობით. თუ წყარო დედა-კაცების

კლუბია, დუქანი მამა-კაცებისაა. დუქნები ხის შენობაშია მოთავსებული და ეკუთვნის უმრავლესათ ქართველობას. წინეთ მედუქნეები სულ სომხები ყოფილან, მარა ახლა ქართველებს გადაუჭარბებიათ. ქართველებიც სწორეთ ისე ჩაჩობენ, როგორც სომხები. ქართველებიც გასომხდენ — შემომჩიელა ერთმა აქაურმა კნენამ. ეს გასომხება მდგომარეობს ფულის მამა სისხლათ გასესხებაში და სხვის სარჩოსაბადებელის დაპატრონებაში. თვით ქვემო-მაჩხანშიაც კი, სადაც სომხების გასანადგურებლათ ერთი ვაი-უშველებელით დეპო დააარსეს, მედუქნეთა უმრავლესობა ქართველობა ყოფილა. ასე რომ, სოფლის წერილი ბურჟუაზია თან-და-თან ქართველობიდან დგება. როცა ისინი გამდიდრდებიან, თავის მოქმედებას, რასაკვირველია, ქალაქშიაც გადაიტანენ.

* *

ქიზიყელი, როგორც მითხრეს, ამ ბოლო დროს ძალიან მისდევს წერა-კითხვას. ყოველ მოზდილ სოფელში სკოლაა და შევირდებიც ბლომათ დადიან. ასე გაშინჯეთ, ქვემო მაჩხანის სკოლასთან, ადგილობრივი ბოქაულან თაოსნობით, მუდმივ სასცენო შენობასაც კი აშენებენ. სამკითხველო ერთობ ძალიან იშვიათია. მე მხოლოდ ერთათ ერთი სამკითხველო ენახე, სოფ. კარდანახში კნენებთა მიერ დაარსებული. მკითხველება უმრავლესათ ქალები ყოფილან. წიგნები ძალიან ცოტაა სამკითხველოში. — რაც გეკონდა თითქმის სულ გადაიკითხეს და ახლა ახალ წიგნებს გეთხოვენ — მითხრა სამკითხველოს გამგემ, კნენა აფხაზისამ. ზოგი მკითხველი კიდევაც ასახელებს რა შინაარსის წიგნი აინტერესებს მას. — თუ შეიძლება შეყვარ შემოყვარების წიგნს ნუ მომცემ — განუცხადა ერთმა დედა-კაცმა გამგეს. ასე უწოდებენ თურმე რომანს. პირველათ სამკითხველოს ძალიან ეჭვის თვალით უცქეროდენ. უთუოთ ფულს გადაგვანდევინებენ, თვარა როდის იყო თავადები მუქათათ რასმეს გვაძლევდნო. საზოგადოთ, კითხვას ქალები უფრო ეტანებიან, ვინემ კაცები.

* *

ქიზიყის ეკონომიური წყობილება აშენებულია მიწის საერთო მფლობელობაზე. ვისაც რამდენი შეუძლია იმდენ მიწას მოხნავს. გაზაფხულზე ქიზიყელნი თავს მოიყრიან ამ საერთო მიწებებზე და ვინც როგორ მოასწრებს ისე მოხნავს. თვითოეული ჯერ გუთნით შემოაუფლის ერთ სიერცეს, ეს ნიშნავს, რომ ეს წელს მისი კუთვნილებაა. რასაკვირველია ვისაც ბევრი ხარ-კამეჩი ჰყავს და ბევრი ბიჭები, ის მეტს შემოაუფლის და მაშასადამე მეტსაც მოხნავს. ერთ შეძლებულ გლეხზე მითხრეს: ის ას დესიატინას ხნავსო,

სამაგიეროთ მეორე, ლატაკი გლეხი, რომელსაც ხარურემი არა ჰყავს, ერთ დესიატინასაც ვერ ხნავს. ერთი სიტყვით ეს მიწის საერთო მფლობელობა ნამდვილათ შეძლებულთა მფლობელობაა. აგრეთვე საბალახო. მამასახლასი გამოუცხადებს სოფელს: ამა და ამ დღეს თიბეა უნდა დაეწყოთო. დანიშნულ დღეს თავს მოიყრიან ოჯახის წარმომადგენლნი ცხენებზე შემსხდარნი, ყველა ერთათ გააქენებს ცხენს ბალახში და თავის ჩოხას ან სხვა რამე ნიშანს დააკდებს. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული ადგილი მისია და მან უნდა მოთაბოს. რასაკვირველია, ვისაც გლახა ცხენი ჰყავს ან და სულ არ ჰყავს, ის უბალახოთ რჩება. როგორც ხედავთ ეს ტაციობა უფროა, ვინემ გაწესრიგებული მუშაობა. რასაკვირველია, ამ საერთო არეულობაში დიდი აურ-ზაური და ცემა-ტყეპაც წარმოებს. ყველა კარგ მიწას ეტანება და შეიქნება ერთი ჯახი — არა შენ და არა მეო. თუ დავა იქავე მუშტი-კრივით არ გადაწყდა, შემდეგ ადგილობრივი ბოქაული წყვეტს ჩვეულებების მიხედვით. ასეთ პირობებში ყოველად შეუძლებელია რაიმე ინტენსიური კულტურის დაწყება. რომელი გიჟი გააუმჯობესებს იმ მამულს, რომელიც მის საკუთრებას არ შეაღვენს. ასე გაშინჯეთ, ვებერთელა ტრიალ მინდორზე ერთი საჩრდილობელი ხეც არ მოიპოვება. — რატომ ერთი ხე მაინც არ დარგეთ? შეეკითხე ქიზიყელს. — მე რომ დავრგა წელს ჩემ სახნავ მიწაზე, გაისს ამ მიწას სხვა მოხნავს და ხეც იმას დარჩება, სხვისთვის რათ შევიწუხოთ თავი, — მამიგო მან. აშკარაა, მიწის საერთო მფლობელობა ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, მიწის საერთო ტაციობა აფერხებს მეურნეობის განვითარებას და მით ერთ დონეზე აჩერებს საზოგადო ცხოვრებას.

ასეთია ქიზიყი, ასეთია მისი საზოგადო სახეობა...



სხვა-და-სხვა ამბავი.

მპერატორი ალექსანდრე მეორის ძეგლის კურთხევა, რაიცა მოხდა გასულ კვირაში მოსკოვში, დაგვირგვინდა ერთი შესანიშნავი სახემწიფო წინადადებით. რუსეთის მთავრობამ მოიწვია უცხო სახელმწიფონი კონფერენციაზე, რომლის საგანი უნდა იყოს უსახლერო შეიარაღების შემცირება და ნაკლების ხარჯით საერთო მშვიდობიანობის დაცვა. აი, რას წერს თავის წინადადებაში მთავრობა: „ხალხთა სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე, მათი შრომა და კაპიტალი ასცდნენ თავის ბუნებრივ დანიშნულებას და ტყუილ-უბრალოთ იფლანგებიან. ას მილიონობით ინარჯება ადამიანთა გასანადგურებელ იარაღების შე-

საძენათ, რაც კი დღევანდელი მეცნიერების უკანასკნელი გამოგონებაა, მარა ხეალ იგივე მეცნიერება კიდევ უფრო შესანიშნავ იარაღებს ეგონებს და ძველ იარაღებს ყოველივე ფასი ეკარგვის. ხალხთა განათლება, მათი კეთილდღეობის და სიმდიდრის განვითარება მრუდდება და ყალბ გზაზე დგება. ამ ნაირათ, რაც უფრო იარაღდება თვითოეული სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებათ ეთანხმება ეს მთავრობის მიზანს. ამ მეტის-მეტი შეიარაღებით ირღვევა ეკონომიური წყობილება და ეს შეიარაღებული მშვიდობიანობა ხალხთათვის აუტანელი ხდება. ცხადია, ამ მდგომარეობის გაგრძელება უსათუოთ მიგვიყვანს იმ უბედურობამდის, რის თავიდან აცილება სურთ და რის ერთი გახსენება შეაფოთებს ადამიანის გონებას. ამისათვის, მუდმივი შეიარაღების შეზღუდვა და ახალი საშუალებების გამოჩნება ამ უბედურობების თავიდან ასაცდენათ — ი ყველა სახელმწიფოთა უმაღლესი მოვალეობაა... ამ მიზნით მოვიწოდებ ევროპის კონფერენციასო. ამ მოწოდებას ევროპის პრესა დიდის აღურთოვნებით შეეგება, მარა ამასთანავე დიდ ექვს აცხადებენ კონფერენციიდან არაფერი არ გამოვაო.

9 აგვისტოს მოხდა უკანასკნელი კრება ქვემო მაჩხანის დეპოსი. აი, რას გვწერს ამის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი:

„ეს სხდომა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილათ: სხდომა ბ-ნ ნასიდის სიტყვამდის და სხდომა ბ-ნ ნასიდის სიტყვის დაწყებიდან. თუ სხდომის პირველი ნახევარი წეს-რიგის დაცვით და საქმიანობით საზოგადოთ სხდომას წააგავდა, მეორე ნახევარის შესახებ ეს აღარ ითქმის. ერთი სიტყვით ბ-ნ ნასიდემ 9 აგვისტოს სხდომის მეორე ნახევარი გადააქცია ოხუნჯობის და კინკლაობის სარბიელათ, სადაც პირველ როლს თითონ ის თამაშობდა. სამწუხაროთ, ჩვენ არ ძალგვიძს აწეროთ ყოველივე ის, რაც ბ-ნ ნასიდის უადგილო ოხუნჯობამ გამოიწვია ხსენებულ სხდომაზე, — ან კი ვინ ესაჭიროება ეს? ერი, მღვდელი, ყველა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და ლანძღავდა, — რისთვის? თითონაც არ იცოდენ. დაღამდა ისე, რომ კრებამ ვერაფერი ვერ გააჩინა. ყველას მობეზრდა ამ აპირებული კომედიის ყურება; მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარეებმა ერთი-ერთმანეთი გამოლანძღეს და თვით დაწესებულება, ე. ი. დეპო, ფენ-ქვეშ გაიგდეს. ის იყო კრება უნდა დაშლილიყო, რომ ვილამაც ასეთი წინადადება განაცხადა: ავირჩიოთ კომისია, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში მოაწყოს, ან მართოს დეპოს საქმეებიო. მეტი რა გზა იყო, კრებას უნდა მიეღო ეს წინადადება შემდეგი ცვლილებ-

ბით: ავირჩიოთ კომისია, რომელიც დაუყონებლივ შეუდგეს გამგეობის ორი წევრის შიგნად და პირველ სექტემბრამდე მოიწვიოს საგანგებო კრება ახალი გამგეობის ასარჩევად ¹⁾. მანამდე კი საზოგადოების საქმე უნდა აწარმოვოს ძველმა გამგეობამ. ამასთანავე ძველმა გამგეობამ განაცხადა: ჩვენ ამიერიდან ვერც ახალ საქონელს გამოვიწერთ და ვერც ვექსილებზე მოვაწერთ ხელს, როგორც გამგეობის წევრნი, და თუ ვინცოთაა პირველ სექტემბრამდე ახალი გამგეობა არ შედგა, ჩვენ გამგეობის წევრობის მოვალეობისაგან მაინც განთავისუფლებული ვიქნებითა“.

როგორც ისმის ოზურგეთს მალე ელირსება პროგნოზის დაარსება. ვაზეთ „პეტერ. ედომოსტ-ში“ (№ 221) მოთაქსებულა წერილი „ოზურგეთის შუამდგომლობა“, სადაც ნათქვამია: გურიის ხალხში რუსული ენა ვერ ვრცელდება ჯეროვანათ, დაბალ სასწავლებლებში შესწავლილი რუსული მალე ავიწყდებათ ცხოვრებაში. ერთათ ერთ პროგნოზისა შეეძლება სახელმწიფო ენა მთელ გურიას მოჰფინოსო.

ხარკოვის მუშათა ურთიერთ შორის დამხმარებელი საზოგადოების წესდება სამინისტროს დაუმტკიცებია. წესდების ძალით საზოგადოების წევრათ შეიძლება იყენ: „მჭედელი, ღურგალი, ზაინკალი, ხარატი, მელითონე და ყველა ზავადებში მუდმივი მომუშავე“ (§ 12). წევრთა რიცხვი უკვე 150 ავიდა. სულ ზავადის მუშებია. თეიური საწევრა ფულია ათი შაურიდან მანეთამდე. საზოგადოების მიზანია: დაარსოს სკოლა, საავთმეოფო, სამკითხველო, მოხუც წევრთა თავშესაფარი და სხ. ეს მეორეა მთელ რუსეთში, რომ წმინდა მუშათა საზოგადოებას კანონიერი ნებართვა მიეღოს.

ამა წლის პირველ იანვრიდან პირველ აგვისტომდე ფოთის ნავთსადგურიდან გაუტანიათ ცხრა მილიონამდე ფუთი შავი ქვა. ცხადია შავი ქვის წარმოება მატულობს და არა კლებულობს, როგორც ზოგიერთები გაყვირიან.

სადგ. ქარელში თ. მ. დ. ციციშვილმა რევოლუციონით მოჰკლა თავისივე გლეხი — ხიზანი. მიზეზი ყოფილა ის, რომ გლეხზე ცოტა-ოდენი ღალა დარჩენილა გადასახადი.

ჩვენ ნიჭიერ პოეტს ქ-ბ-ნ განდევილს დაუწყია გრიბაედოვის კომედიის „Горе от ума“-ს ლექ-

1) ამ კომისიის წევრებათ აიჩნის: თ. დი ნ. დ. კრისთავი, დეკ. ს. ბუკიაშვილი, ივ. მატიაშვილი, ივ. მენტუშაშვილი, ად. ნადირაძე და ფ. მასხაძე.

სათ თარგმნა. ერთი ნაწილი უკვე გადაუთარგმნა ჩვენ შემთხვევა გვექონდა ეს წაგვეკითხა. თარგმანი საუცხოვოა. ვუსურვებთ ამ შრომის მალე დასრულებას.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა ქართველი ახალგაზდა აგრონომი ბ. ნიკო აღნიაშვილი. მან სწავლა დაამთავრა ნანსის სააგრონომიო სასწავლებელში და შემდეგ სწავლობდა მონპელიაში და ლეიპციგის სააგრონომიო ინსტიტუტში. სპეციალურათ შეუსწავლია მევენახეობა და ხენა-თესვა.

განჯიდან გვეწერენ: სააგარაკო სოფლის აჯიკენტის მახლობლათ ამ თვის 12-ს მოხდა სამაგალითო ცარცვა-გლეჯა, რომელმაც მთელი განჯა ალაპარაკა. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ავაზაკები დახედენ ფოსტის გზაზე ხევში განჯიდან და განჯაში მიმავალ მგზავრებს და გააჩერეს 150 კაცამდე. საქმე ასე ყოფილა: 5 საათზე ხევში ჩასაფრებული ავაზაკები გამოვიდნენ და ვინც გაივლ-გამოივლიდა აჯიკენტის გზა-ჯვარედინზე გააჩერებდნენ. აცლიდნენ ძვირფას ნივთებს, იარაღს, ტანისამოსს, ფულს და იქვე გვერდზე დააყენებდნენ და როცა ასე 150 კაცი დაიმორჩილეს და რაც რამ ებადათ ხელთ იგდეს, შემდეგ არხეინათ გაუდგენ თავიანთ გზას. გაცარცულთა რიცხვში იყო სხვათა შორის დისტანციის უფროსი გედევანოვი, განჯის პოლიციის თანაშემწე რიახინი, რამდენიმე აფიცრები თავიანთი კაზკებოთ. შესანიშნავია თავზიანობით მოჰყოლობიან ავაზაკები მანდილოსნებს, რომლებსთვისაც სრულიად არა წაურთმევიათრა და პირ იქით იმათი თხოვნით ბევრ სხვა მამაკაცებისათვისაც კი დაუბრუნებიათ წანართმევი ნივთები და ზოგისთვის (მაგ. ერთი გემნაზიელისთვის და მუშა კაცისთვის) პირიქით უჩუქებიათ ფული. როდესაც ასე ამნაჩათ იმათ 5,000 — 10,000 მან. საღირალი ხელ.წამოსაკრავი დააგროვეს, შემდეგ რიგიანი ცხენების გამოხსნა დაიწყეს ეტლებიდან და იქვე გაშინჯეს ისინი სიარულში, გაათავეს თუ არა ასეთი მეტათ თამამი ცარცვა-გლეჯა, მოასხდნენ ცხენებს და უთხრეს თავიანთ გულუპყრილო მსხვერპლებს: სანამ ჩვენ არ გავფიშალოთ აქედან არ დაინძრეთ და სიმღერიოთ და კიჟინით გაუდგენ გზას. მცარცველები, როგორც ამბობენ სულ თათრები არიანო და ერთი ქართველიც ურევიან...

ბაქოდან გვეწერენ: აქაურ ბალახანელ ქართველებს განუზრახავთ ენკენისთევში ქართული წარმოდგენა გამართონ საქველმოქმედო აზრით. იმედია

აქური ეწრო წრე ქართველებისა წინანდებურათ მხნეთ შეუღება ამ საქმეს და ქართულ გასართობებს მოკლებულ ბაქო-ბალახანელ საზოგადოებას ასიამოვნებს, ამასთანავე საქველმოქმედო მიზანსაც ჯეროვნათ გასცემენ პასუხს.

„კვალის“ კორესპონდენცია.

სოფ. ჭაჭაღიდი (სამეგობრო). მე აქ მინდა მკითხველს რამდენიმეთ გავაგებო, განსაკუთრებით იმ მუშებ.ს მდგომარეობა, რომლებიც რკინის გზის „პოლრიალიკ-რიალიკებთან მუშაობენ. ამ უკან.სკ-ნელთ აქეთ აღებული რკინის გზისაგან სხვა-და-სხვა გვარი საქმეები, როგორც, მაგალ., ლიანდაგის აწევა დანიშნულ სიმაღლემდის და გასწორება, რკინის და ქვის ხიდების ახლათ აშენება და ძეგლების შეკეთება, მდინარეებზე დამბების გაკეთება და სხვა... ყველა ამის გაკეთებისთვის საჭიროა დიდძალი მუშა. მუშებიც აწყდებიან ახლომანლო სოფლებიდან; თუ უწინ ამათ 80 კ. 1 მ. დის ეძლეოდათ, დღეს 40—50 კ.-ს ძლიერ იღებენ. მიზეზი ამისა, როგორც საზოგადოთ-მოცილებობა. სოფელში ხალხი შეძლებით ძალიან დაცა, სიმინდს ფასი აღარა აქვს; ოჯახის მოთხოვნილებანი და სხვა-და-სხვა გვარი გადასახალი, თითქმის ყოველ-დღე მატულობს და ყველა ეს ფასდაცემულმა სიმინდმა ვეღარ გაასწორა; ამით იძულებული გახდა სოფლელი წაიღეს საღმე მუშაობის მოსაპოვებლათ. თითქმის ყოველ დღე შეხედვებით აქ (ფოთსა და რიონს შუა) 10—25-ამდის გროვით მომავალ ხალხს, საგლით ზურგზე, რომლებიც თხოვენ „პოლრიალიკ“-ს სამუშაოს. ისიც სარგებლობს ამათი სიმრავლით და ეუბნება. „მე საქმარ მყავს მუშები, მარა მანც მოგიღებთ, ამ ფასათ თუ იმუშავენბთ.“ (თუ ამ დროს მუშას აძლიერს დღეში მანეთს, იმათ შეაძლიერს სამ აბაზს). ამითი და კადევ სხვა ახალი მოსულებიც მიზეზით დღიური ფასი კიდევ ძირს იწევს და ასე ამგვართ დღეს ისინი 40—50 კ. ძლიერს იღებენ 1). ამ ფასათ ისინი მუშაობენ დილის ხუთის ნახევრიდან, საღამოს შეიდ საათამდე (სადილისათვის და საუზმისათვის ერთი საათი თავისუფლება აქეთ) 2). ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ მუშები თავის ბინაზე მხოლოთ ცხრის ნახევარზე

თუ ცხრაზე იქმნებიან (მუშა მატარებელს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ხშირათ აგვიანდებათ); მისთვის შემდეგ იმათ უნდა მოიმზადონ ეახში და აგრეთვე მეორე დღისთვის საგზალი; ასე რომ ლამის 12—1 საათამდის უნდა იცოდელილონ და დილით კი ოთხ საათზე მხათ უნდა იყვენ გზაში წასასვლელიათ, რადგანაც ამ დროს მუშამატარებელი გადის 3). ამ გვართ დილის ოთხი საათიდან ლამის თორმეტ საათამდის, ე. ი. 20 საათს (თუ მივრღებთ მხედველობაში თავის თავზე მუშაობასაც) დაუსვენებლათ არიან (ხუთმეტ საათს ერთი საათის შესვენებით „პოლრიალიკ“-ისთვის მუშაობს, 1/2—2 საათამდის მატარებლით ხალხის წაყვან-მოყვანას და ხან საღამოობით იმის ლოდინს უნდება და სამი საათიც თავის საჭიროების მომზადება-დაკმაყოფილებას). ასეა ზამთარში. ზაფხულში კიდევ მეტს იმუშავენბენ იჯარადრისთვის, რადგანაც დღეს ემატება და მუშაობის შესაწყვეტი დრო, იმისავე სიტყვით, მზის ჩასვლით განისაზღვრება; ფასი-კი თითქმის იგივე ეძლევათ. ყველა ეს მუშები დაყოფილია რამდენსამე ჯგუფათ: ერთი — ტვირთავს ვაგონებს ზღვის სილით; ამათ ეძლევათ ფასი ვაგონებზე; ერთი ვაგონის დატვირთვა — 30 კ. დიდი „პლატფორმ“-ის — 25 კ. და პატარა — 20 კ. მარჯვე მუშა დღეში — ერთი მეორეზე, დატვირთავს 2—3 ვაგონ-პლატფორმას. და აიღებს 50—75 კ., თუ თავ-თავის დროზე ვაგონებო რიგიანათ ჩამოუყენეს, მარა აქ რიგიანობა ძალიან ძვირათ იქნება, ასე რომ დღეში ათშაურსაც ვერ იღებენ. მეორენი ტვირთავენ ვაგონებს წითელი მიწით, რომელიც დიდი ვარ-ვაგლახით იქნება მოშორდეს ბარს. ფასი ამათაც ვაგონებზე ეთვლება: 40 კ.; 35 კ. და 30 კ. დატვირთავს 1—1 1/2 ვაგონ პლატფორმას, ე. ი. აიღებს 40—55 კაპ., მესამენი ლიანდაგს სწევენ. ფასი 45—50 კ. ამავე ფასში მეოთხენი მიწიან და სილიან ვაგონებს ცლიან; სხვანი განაწილებულნი არიან სამუშაოთ ხიდებზე, ქვეშ ხიდის სასაძირკელო ორმოს სათხრელათ და ამ უკანასკნელიდან საქაჩავით ამოსაწრეტათ. ამათ 50 კ. ეძლევათ. ძალიან გაჭირვებაში არიან წყლის საქაჩავზე მომუშავენი და ორმოების მომთხრელნი. პირველებმა მთელი დღე ხელები ხან ზევით უნდა სწიონ ხან ქვევით, რაც ძნელი ასატანია; სხვები კი უნდა ჩადგენ მუხლამდის წუმბეში (ხან მეტიც) და იქიდან ტალახი ამოიღონ ნიჩბით და დაჰყარონ მალლა, ამისათვის განგებ მოწყობილ ფიცრებზე, საიდანაც მე-

1) დღეს, რადგანაც მიწის შემუშავების დროა, მუშა ნაკლებია და ფასიც განსხვავდება 10 კაპიკით.
2) ასეა მუშაობენ რვა საათამდის და ხან ცხრის ნახევარამდისაც.

3) ასეა უმეტესისათვის გაკეთებულია სამუშაოს მასობადათ ბაშის კარკები, სადაც მუშებს დამკს ათეინებენ და ის დრო, რომელიც უწინ წაყვან-წამოყვანაზე იკარგებოდა, ასეა შეიკარგდნის სასარგებლოთ დარჩა.

ორე რიგი მუშა ზევით შეპყრის და იქიდან ჩამოდის ტალახიანი წყალი, რომელიც თავსა-და-კისერზე ესხმებათ. ამას კიდევ ვინ ჩივის, რომ ყოველ წუთში სიკვდილისა არ ეშინოდესთ. წარმოიდგინეთ, როგორი მოსათხრელი იქნება სამი-ოთხი საყენი სიმაღლე ორმო იმისთანა ადგილას, როგორიც ფოთი და ქალაღი-ღია, სადაც წყალი ნახევარი არშინის სიმაღლეზე დგას მიწას ზევით (უფრო კი ქალაღ-ღში და მის ახლო-მახლო) და სადაც ყოველი არშინის სიმაღლის ამოთხრაზე მიწა თავს ველარ იმაგრებს და ზევედება. ამის საწინააღმდეგოთ ორმოში შიგნით მხრიდან ირგელივ ამოაწყობენ ფიცრებს, რომლებსაც ქვევენ დიდრონი ხეებით. ორმოს მახლობლათ დაგებულია დროებით ლიანდაგი, სადაც მატარებლები დადინან. ხშირათ მომხდარა მატარებლის გაელის დროს უბედური შემთხვევა. მატარებლის სიმძიმის გამო ლიანდაგ ქვეშ მიწა განზე გაწეულა, მიწოლია ორმოს კედლებს, რომელსაც შემოზღუდულია ფიცრებით და გაჭედილი დიდრონი ხეებით; ამ უკანასკნელთ ველარ გაუძლიათ, გატეხილა და კედელი მოზევეებულია მუშების საუბედუროთ, რომლებიც ძლიერ გადარჩენილან სიკვდილისაგან. ასევე საშიშ მდგომარეობაში აჩიან ქვის მოხელებიც, რომლებსაც აქეთ აღებული „რიაღიკი“-საგან ხიდის საძირკელის ამოშენება, რაშიაც ღებულობენ 13—14 მ. ერთ კუბ. საყენზე, თავისი მუშით. რიაღიკს აქვს აღებული „პოდრიაღიკი“-საგან 22 მან. საყ.; ხოლო პოდრიაღიკ“-ს გზისაგან 125 მ., მხოლოთ მან უნდა მისცეს ასაშენებლათ ყოველივე საქირო მასალა: ქვა, ცემენტი და სილა, აგრეთვე ორმოდან წყალი ამოასხმევირას. ყოველივე ეს ხარჯი რომ გამოვიდეთ, მეიჯარადრეს რჩება წმიდა მოგება ერთი-მეორეზე თითო კუბ. საყ. 65 მანეთი.

კუბიკურ საყენს ერთი კაცი, კარგი ხელის შეწყობით, ააშენებს ექვს დღეს, ე. ი. ერთ კუბ. საყ. აკეთებს ექვსი კაცი-მოხელე ერთ დღეს, ათი მუშის დახმარებით, რომლებიც მასალას მიუზიდავენ. ამ შემთხვევაში ქვის მოხელები წაგებულინი არიან; იმათ უნდა მისცენ თავის მუშებს ის ფასი, რაც იქ ახლო-მახლოა დადგენილი, უფრო ხშირათ ათ შაურს აძლევენ; ათ კაცს ერთ დღეს უნდა — 5 მანეთი. მოხელები იღებენ დღეში 13 მ. რომ გამოვიდეთ მუშის მისაცემი ხუთი მანეთი, დარჩება, მათ რვა მანეთი, გასაყოფი ექვსათ; ასე რომ თითოეულს მოუწევს 1¹/₃ მ. დღეში, რაც ქვის მოხელისთვის მცირეთ ითვლება, მით უმეტეს რომ უამინდობის და ხშირათ კი „პოდრიაღიკი“-ს უწყეს-რიგობით, თვეში ხუთმეტრი დღე შეუდგება; ასე რომ ამათ თვეში ოცი მანეთი ძლიერ ერგებათ და ისიც სადა? ქალა-

ღიღში, სადაც, როგორც ზოგიერთი აქაურებისაგან გამიგონია, ქათამსაც კი გააცუვენს, თვარა კაცი ხომ ვერ გადაურჩება და, სადაც დამდგარ წუმზე წყალს გარდა ახლო-მახლო ხეირიანი დასალევი წყალიც არ მოიპოვება. არის რიონი, მარა ის მუშის სახმარათ არაა და ან ვინ მოაცილის მუშას იქიდან წყლის მოსატანათ. (მეიჯარადრეს როცა ძალიან ასიცხდება ქვაბით დააქვს გზაში წყალი. მარა ეს საკმარისი არაა და, მუშა იძულებული ხდება ისევ დამდგარ წყალს მიმართოს, რომლისაგანაც უეჭველათ ცივებ-ცხელებას შეეყრება).

რადგანაც „კატლოვან“-ში მუშაობა სამძიმოა, ამიტომ მეიჯარადრე ან მისი მმართველი იჩენს გულკეთილობას და 1¹/₂—2 გირ. პურს უმატებს დღიურ ფასსზე. გულკეთილობას გარდა, გულ-ჩვილი და უზომო კაცის შემბრალებელია ის კურთხეულის შეილი მმართველი! იმ შემთხვევაში, თუ დაინახა რომელიმე მუშა ცოტა ხნით შეჩერებული, ვაი იმის ბრალი! მივარდება იმასთან ყვირილით, შეუკურთხებს ლაჩათიანათ დედმამას და ხან კიდევაც უთავაზებს ყბებში! საწყალი მუშა გაჩერდება და კრინტსაც არ დაძრავს, თუ გინდ მართალიც იყოს. მოვიყვანთ მაგალითს მმართველის მხეცური საქციელისას: ამა წლის 11 მარტს ცივი დილა იყო. მუშები „კატლოვან“-ზე იყვენ გამოგზავნილი. ისინიც ჩასულიყვენ მუხლამდის ცივ წუმზეში და გაჭირვებით მუშაობდენ. ერთს, სულ ერთიანათ გატალახებულ მუშას, ბარის ტარზე ჩამოესვენებია. ამ დროს შეასწრო თვალი მმართველმა და უბძანა, რომ ის ზევით ამოსულიყო; ისიც ამოვიდა. მაშინ მივარდა მასთან მმართველი, გაჰკრა ყბაში ცალი ხელი და ცალიც ბარში უტაცა, რომლის წართმევა და შემდეგ, შეიძლება, როგორც ჩვეულებათ აქვს,—დარტყმაც უნდოდა, მარა ვერ მოერია მუშას, რომელმაც პირიქით სტაცა ცალი ხელი ყელში და ერთის დაქნევით მუხლგაზე დააჩოქა. თანაც ასე უთხრა: „რას მერჩი, რა დაგიშავე! თუ არ მოგწონს ჩემი მუშაობა, მომეცი ჩემი და გამიშვი, იქნება საწყალ კაცს შენს გარდაც ამოუვიდეს მზე“-ო და განზე გადა. მმართველი წამოდგა და მოტირალი ხმით უთხრა: „მაგარი გული გაქვს, რასაკვირველია, ამდენი ამხანაგების შემხედვარეს, მარა თუ კაცი ეყოფილვარ, შენზე თუ ვერა, შენ ძმაზე ამოვიყრი ჯაერს“-ო. შემდეგ მიუბრუნდა ისევ მუშას და უთხრა, რომ მისულიყო საღამოს „კანტორა“-ში და ფულს მიიღებდა, და რომ მერმე იმისი სახე არ დაენახა. ამ დროს ამოვიდენ ორმოდან რამოდენიმე მუშა და მოახსენეს მმართველს, რომ ესენიც დაეთხოვა იმ მუშასთან ერთათ. მიხედა მმართველი რაშიაც იყო



საქმე; ცოტა ხნის ფიქრს შემდეგ დაუძახა ყველას, ერთათ თავი მოუყარა და უთხრა, გადამდგარიყვენ ერთ მხარეს ყველა ის, ვისაც წასვლა სურდათ. ახლა ყველამ ერთი-მეორეს დაუწყო ცქერა, თითქოს უნდოდათ ამოეკითხათ ერთი-მეორის სურვილი; კარგი ხნის ყოყმანს შემდეგ თითქმის შუა გაიყო მომუშავენი. მუშაობის არ მსურველთ უბძანა, რომ სალამოს „კანტორა“-ში ფული მიეღოთ და დანარჩენებმა კი დაიწყეს ჩვეულებრივად მუშაობა...

დროებით ჭაღადიდელო.

საფ. ალი (ქართლი). აქაურ ხარჩთა შორის, ურეცია ერთი, ფთიანი, ნამუსხე ხელ აღებულო, მატყუარა ხარჩი, რომელიც სხვა ხარჩთაგან გარეგნულის შეხედულობითაც განირჩევა, თავისი პალტოთი, ცილინდრით და სანდლებით; ამ ხარჩის საქციელები, ამას წინეთაც იყო დასტამბული „კვალ“-ში და, უნდა ეთქვა სიმართლე, რომ იმ მხილებით, მის პირს ლავამი მიუახლოვდა ამოსადებათ და ეს ერთი ოინზაზობაც თუ გამოეაშკარავეთ, მგონი, რომ ის ლავამი მერე პირში ჩაედოს უკან დასახევათ; აი, ერთი კიდევ იმისი ახალი და მეტათ სამწუხარო მოქმედება: ორმა აქაურმა გლეხებმა, ვანო გ—ძემ და ვანო ფ—ძემ, აიღეს მისგან, ტყეში სამუშაო, ორასი მანეთის საქმე, ხარჩმა, ჩვეულებისამებრ, ნატარიუსის წესით ჩამოართვა რეასი მანეთის პირობა. გლეხებს, ეს საქმე უნდა გაეკეთებინათ სამი თვის განმავლობაში. პირობის წესით, წინდაწინ გამოართვეს ორმოცდა ათი მანეთი ფული ხსენებულ ხარჩს; დაიჭირეს იმ ფულით საჭირო მუშები და შეუდგენ დღე და ღამ ოფლის ღვრით მუშაობას. ის იყო ათაგებდენ, საქმეს ბევრი აღარა აკლდა, რომ საცოდავ გლეხებს ბედმა უმუხთლა, გლეხი ვანო გ—ძე, ბევრი ჯაფით და ოფლის ღვრით გაცედა, ავით გახდა და ჩავარდა ლოგინათ, დარჩა საქმის გაკეთება ვანო ფ—ძეს, რომელიც მეტათ გაცხარებულათ მუშაობდა, რომ ცოლმეილით არ დაეიდუბო და ვადა არ გადამცდესო. როცა დაატყო ფ—ძემ, რომ საქმეს ბოლო არ ეღებოდა ვადამდე, რამდენჯერმე თხოვა ხარჩს ხეწინით და მუდარით: ფული, ხომ მაინც მოსაცემი გაქვს და ზოგი მომეცი, რომ იმ ფულით სხვა მუშებიც მოვიშველიო და შენი საქმე ვადაზე ჩავაბარო. უდიერმა ხარჩმა არ შეიწყინარა გლეხის თხოვნა. ვადას გადაეიდა რამდენიმე დღე და საქმე ისევ გაუთავებელი იყო; ხარჩი მაშინვე სასამართლოს ეცა და დაიწყო საჩივარი: გლეხებმა პირობა დაარღვიესო. სასამართლომაც, კანონის ძალით, მიუსაჯა გლეხებს რეასი მანეთის გარდახდევინება ხარჩის სასარგებლოთ. ეს რომ შეიტყო გლეხმა ვანო გ—

ძემ, თუმცა მორჩენილი იყო ავთამყოფობისაგან; მგრამ ჯაფით ელდა ეცა, ხელმეორეთ ლოგინში ჩავარდა და სამუდამოთ გამოესალმა წუთისოფელს. საწყალს, სულის ამოსვლის დროს, ერთი წამოვლულლულებინა: „ვაიმე ჩემო ცოლმეილო! ნეტავ შიმშილით დახოცილიყავით და სამუდამოთ ღვაპლაშვილის ხელში არ ჩამეგდეთო“... მეორე გლეხმა ვანო ფ—ძემ, იფიქრა: ხომ მაინც არ გამახარებს და მისი სამუდამო ყმა ვხდებო, ადგა თავის კერაზე ცეცხლი ჩააქრო, კარები გამოიხურა (ცოლიც ელდით მოუყვდა) და გავიდა გარეთ დღიურ მუშათ; დღით ვიშოენი სალამოზე შევქამ და რალას წამართმევს, რომ არაფერი მექნებაო. თუმცა ჩვენმა სომეხ ხარჩმა, რაც ფული მისცა გლეხებს, იმათ ნაკეთებ საქმიდან ოცი იმდენიც მოიგო, მაგრამ იმან მაინც ის არ იფიქრა, რომ მოგებათ ეს მეყოფა და გლეხები გავათავისუფლოყო...

ვინმე...




(კუთღვნი ე-ნე ა-ნს).

რცა სეკდით შეწყობილი ვისმენ ჩანგის ნახათ ელქას, მოცოცხლდება იმწამს გული და სიამით იწყებს ძეკას. ის ტკბილი ხმა სანეტარო

გულს საღხენათ აკვანესებს, იქ ვუმოუღებს თანაგრძნობას და, ვით სატრფოს, უაღუქსებს; მათეთოვანებს იმედ-მისიღეს, გძნობებს ზეკას უკავშირებს, სულისა და გულს შეკერთებს და სულთქმისაგ გამისშირებს... სანეტარო ცრემლის მღვრელი ველაზ ვქაჯ მამინ ენას, მსოფლოთ ვდნები ოცნებაში და ვემდეგი აღმოფრენას, და მგონია, უკვე დაღვა სანატრელი მომავალი, ამისრულდა სწადელი... მოვისხდე უმეკ ვალი, და ვიდეგი სშირ ცრემლებში გძნობა-ემსით მოქანცული,

მაგიწუდება ჭიჭ-გაჩამი
 და ნეტარობს, ღაღობს სული...
 მაგრამ... ვაი!.. სიში გაწუდა...
 მის ტკბილი სმაც მისვე ჭჭრება!..
 რცხებს ფრთა შეკვრება
 და კვლავ აწყო ხელში ძიხება!..
 დ. თამაშვილი.

ლა შეეხო მამიას მხოლოდ რამოდენისამე წამით, მაშინ როდესაც ქმნიდა იგი „პოეტსა და ჩვენებას“-ო, რადგანაც ცალიერი ფიცი პოეტს უთაოთ ეჩვენა, მონდომა თაეის მოკერება, შექმნა ნაძალადევით ფანტასტიური პოემა და ძალიან წააგო. პოემა განიყოფება ორ ნაწილათ, პირველია პოეტისა და ჩვენების საუბარი, მეორე ფიცი; პირველი ხელოვნებასა და



კუნძული სახალინი,

სახალინი მდებარეობს ტიბეტიდან ასლოს, აღმოსავლეთის მხრით და წარმოადგენს ერთ უდაბურ ადგილს. აქ გზაზეანან მძიმე დამნაშავეთ სასჯელის მოსასდელათ. ამას წინათ ერთი იქ გავზავნილი იწერებოდა, რომ იქ უკვე 300-მდე ქართველიაო.

თხზულეზანი მამია გურიელისა.

(შ ე მ დ ე გ ი) *

პირველი რიგის პატრიოტულ ლექსებს ეკუთვნის სხვათა შორის „პოეტი და ჩვენება“. ბევრისაგან გამეგონა ამ პოემის ქება, მაგრამ პირველათ რომ წაეიკითხე, მოლოდინი არ გამიმართლდა. უსათუოთ ვცდები-მეთქი, ვიფიქრე და რამდენჯერმე გულდასმით გადავიკითხე, მაგრამ უფრო დავრწმუნდი, რომ მამიას დიდი პოემის შექმნის ნიჭი არა აქვს. ჩვენთვის ყოველ ექვს გარეშეა, რომ მამიას თაეისი ფიცის იდეა დემონის ფიცმა დაუბადა და, მხოლოდ ამ ფიცის შესახებ არის მართალი ბიოგრაფის სიტყვები: „ღვთაებრივი და-


პოეზიას მოკლებულია; მეტყდებით შიგ ისეთ უხეირო შედარებებს, როგორც მაგალითათ:

როგორც რომ მთავრე ღამის მაგზაურს
 ბნელსა უნათეს, აჩვენებს გზას,

როგორცათაც მსე გავაფხულისა
 ფაქისსა სსიკებს უხეგებით აფრქვეს,
 კვრევე შენც უნდა ხაღსისა ჭიჭი
 შემოიკრიბო ვისკათა იღო.

ფიცში კი მამია ნამდვილი პოეტია, შეენიერი ხელოვანი: გეიხატავს ნათლათ სურათს, გვიბადებს წრფელ და ჭეშმარიტ გრძობას, გეინთებს გულში იმ ცეცხლს, რომელიც მის კალამს სულს უდგამდა. თვით ენაც იმდენათ მძლავრია, ექსპანსიური და მზა-

*) იხ. „კვლო“, № 34.



ბოლგარელი ქალის ნანა.

დედა, თოფით სეღში, ბავშვს სამშობლასთვის თავის დადებს უნეკავს.

ტერული, რომ შთაბეჭდილებას გვიორკეცებს. მაგრამ რამდენათაც მძლავრია ფიცი ცალკე, იმდენათ უალაგო და უფერულია მთელ პოემაში. ამგვარი პოემისათვის ასეთი ფიცი წასახდენი არ იყო. მოიგონეთ დემონი. ციდან დევნილი ობლათ დადიოდა ქვეყანაზე და თავის გრძნობებს, „მსოფლიო ტანჯვებს“ მით იოკებდა, რომ „განუცხრომელათ შურსა თესაჲდა“, მაგრამ „ბოროტებაც ბოლოს შეძაგდა“. თვალწინ განუშორებლათ უდგა ნეტარი დრო, სამოთხეში გატარებული; ტანჯვა ვერაფრით დაეამებია, მწარე ფიქრებს ეერსად დამალოდა. აშდროს პარველმა სიყვარულმა გული გაუთბო, დაებადა იმედი; თამარის ერთი სიტყვა მას „კეთილობას, თვით ზეცასაც“ დაუბრუნებდა, ოღონ კი მან დაარწმუნოს თამარი თავისი გრძნობის სიწორფელესა და „კეთილის მტრობის“ დაგდების სურვილში, ამას შემდეგ მისი ფიცი, რაც უნდა გადაჭარბებული იყოს, მაინც ბუნებრივი და წრფელის გულიდან წარმონადენი იქნება; რაც უნდა გააზვიადოს, მაინც ევაპატივებთ, თუ მის მდგომარეობაში შევალთ. მამიას ფიცი კი პოემაში უალაგათ მიგვანჩნია. გასაოცარია სწორეთ, რ სთვის დაქირდა პოეტს ასეთი მგვრგვინავი სიტყვები: წინაპრების ძელების საფლავებში შემფოთება, როდესაც ჩვენება მისებური სიტყვის მეტს არაფერს ითხოვს? ჩვენება თითონ მორბის მასთან და პოეტი მას სრულიადაც არ ეძებს; იმის მაგიერ, რომ ჩვენებას მიმართოს თხოვნით, პოეტი ეშლება მას ფეხქვეშ და უშველებელ ფიცს აძლევს.

პოეტი ჩაფიქრებული ზის; გამოეცხადება ჩვენება და, აი, რა სიტყვებით გაუმასპინძლდება მას პოეტი:

ეშმაკის ელჩსა მიემზგაკესუბი,

 როცა ჭაკში მსიარულეზდი,
 რა იცა მამინ მე აქ რა მკიარდა,
 კვკვებოდი, კვკვადი, ან თუ მარჩობდენო და
 შემდეგ ირონიულათ უმატებს:
 არ შეიძლება, გაგვკვებიოთ,
 იქ თქვენსა ღმერთნი რაზედ ჭფიქრობეს?

აშკარაა, პოეტს ჩვენების მოსვლა დიდათ არაფრათ იამა. მაშ არც მისი წასვლა უნდა წყენოდა. მაგრამ დაპირა თუ არა ჩვენებამ წასვლა, ამპარტავანი პოეტი ერთბაშათ სრულიად გამოიცვალა, მორთო ყვირილი, „წინ უვარდება მუხლმოდრეკილი“ ჩვენებას და შებრალებას თხოვს. ასეთ მოულოდნელ და გასაოცარ ცვლილებას, აი, როგორ გვიხსნის პოეტი: „მწეს ვერ ეხედავდი ჩემს განკარგულებაში და მხოლოთ ხმიანი მჭირდა მგრძნობიო“. ეს რომ მარ-

თალი იყოს, „ზეცისა შეილათ დანასახავი“ ჩვენების მოვლენა ძალიან უნდა გახარებოდეს; ჩვენ კი ენახეთ, როგორც მიიღო. ამგვარი თავის მართლება ტყუილია; პოეტი გულწრფელათ არ მოიქცა. მიზეზი სულ სხვა იყო; მის გულში იმხელა ფიცი აღარ ეტეოდა და შემთხვევას ეძებდა, რომ ვისმეს წინაშე წარმოეთქვა შემთხვევა გამოუჩნდა, მაგრამ მოუფიქრებლობით ხელიდან გაუშვა. რაღა ექნა? ერთი გზაა დარჩენოდა. უნდა მსახიობის ქურქში განვეულოყო და სცენიურათ თავი მოეკატუნებია. პოეტიც ასე მოიქცა და ჩვენება მოაბრუნა მხოლოთ იმისათვის, რომ თავისი ფიცი წარმოეთქვა მის წინაშე. ფიცი რომ ძალათი შეაჩნა პოეტმა ჩვენებას, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენება არავითარ ფიცს არ ითხოვდა; ის არ გაეჩინებულა, ბევრი ხეწნა არ დაჭირებია, მალე შეურიგდა პოეტს, უმეგობრდება კიდევ და ეუბნება:

თუ სიტყვას შენებუჭს დადებ,
 ნიჭს ღონიერსა უმცდრად აშრომებ.

.
 ტანზედ საცმელათ სასქელაგუნას
 შეგიკვკვინებ თათონ სიბძმქესა;
 განგითქვამ ცოდნას და სქელაგუნას
 შენს ბედს განატრებ მსოფლიო ექსა და სსკ.

აშკარაა, როცა ჩვენება ეუბნება „თუ სიტყვას შენებურს დადებო“ ამით აღაარებს, რომ ის პოეტს ძალიან კარგათ იცნობს და მისი ერთი სიტყვა მისთვის სრულიად საკმარისია, რომ ის უკვდავი გახადოს. როცა პოეტმა აღუთქვა, ოღონ მიბრძანე და სულ ყველაფერში შენი მონა ვარო, ჩვენება თავის სიტყვას უარყოფს და ეუბნება:

. . . მაშ შემომთვიტე
 რაც სიცოცხლეკვად მეტად გიუჭარდეს-ო.

ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენებამ ზემოთ ნათქვამს შემდეგ კიდევ ფიცი მოითხოვოს. ამ სიტყვებს ძალათი ათქმევინებს პოეტი ჩვენებას, რადგანაც უსათუოთ უნდა, ფიცი გაასალოს და მისი ჯავრი არა აქვს, თხოვენ თუ არა.

აქვე უნდა გამოვტყდეთ; რომ პოეტი ისე მოტყუვდა ჩვენებაში, როგორც ღონ-კინობტი, რომელმაც სოფლის გოგო პოდოსელ დულციწიათ მიიღო. პოეტს ჩვენება „წმიდა, ზეცისა შეილათ დანასახავი, უმანკო სული“ ეგონა, ის კი, ჩვენის აზრით, უფრო „კვეკელა ქალს“ წააგავს, რომელსაც პოეტთან დამეგობრების სურვილი აღარ აყენებს. ის მოვიდა, ვითომ პოეტის ნუგეშის საცემათ; როდესაც პოეტი ხელეზ გატოტინებული არ დაუხედა, გაბრუნდა, მაგრამ შე-

მთხვევა მიეცა, მალე გამოტრიალდა და ვითომდა წყრომით უთხრა პოეტს:

. . . . შეგირიგდებო

სულ დავიწყებ, რაღა იყბუდე.

დამიხედეთ „ზეცისა შვილათ დანასახავს“! ამგვარი ლაპარაკი ენაწავლებულ ღელაკაცს კი შეშვენის, მაგრამ ზეცის უმანკო არსებას კი არა. როცა პოეტი მის წინაშე ჯვარს ეცმოდა და გრგვინავდა, ჩვენებამ არც აცივა, არც აცხელა, შემონგია ყელზე ხელი და გულიანათ შუბლი ჩაეკოცნა. სრული უფლება გვაქვს, ვთქვათ, ის მხოლოდ ამიტომ გამოეცხადა პოეტს და არა იმისთვის, რომ

ნუკაში ეტა

გამოეყვანა ყოვლის საფრთხიდან,

ტანჯულისათვის სმა გამოეტა.

ამგვართ პოეტისა და ჩვენებაც ორივე ერთმანეთს ატყუებენ: პოეტმა ვითომ მისთვის მოაბრუნა ჩვენება, რომ მუდამ მისი სიტყვა აესრულებია, ნამდვილათ კი მარტო ფიცის წარმოთქმა უნდოდა; ჩვენება ვითომ მისთვის მოვალა, რომ

გამოეყვანა ყოვლის საფრთხიდან.

ნამდვილათ კი მისი მიზანი სულ სხვა იყო. შეიძლება გვიპასუხოთ: პოეტის ფიცმა ისეთი მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა მანზე, რომ აღტაცებაში მოსულმა თავი ვეღარ შეიკავაო. მაშინ კოცნა და გაქცევა რაღა იყო? თითქოს თავის საქციელის თითონვე შერცხეაო. თუ ჩვეულებრივი ზრდილობის კანონს არ ემორჩილებოდა, ადამიანის ცოდვილი ბუნება მაინც კარგათ უნდა ცოდნოდა ღვთიურ არსებას; უნდა ცოდნოდა, რომ მისი კოცნა პოეტს „კი არ უშველიდა, მახელს ახვედა“, და ასეთი დიდი მომენტი, როგორც ღვთიური ნიჭით უგუნურებასთან საბრძოლველათ პირობის დადება პირუტყველ გრძობათა აზლით არ უნდა შეეღობა; მაგრამ საქმიანშია, რომ ეს „უმანკო, ზეცისა შვილათ დანასახავი ჩვენება“ ის არ არის, რაც პოეტს ჰგონია, საეჭვო ფიზიონომიისა და მისი საქციელის საეჭვო არის. ჩვენებამ შესახებ თუ ასე გავეაზრდეთ სიტყვა, მხოლოდ მისთვის, რომ მკითხველისათვის შემდეგ გარემოებაზე მიგვეთითებია: მამიას არ ეხერხება მომქმედი პირების დახასიათება, ის არ არის ფსიხოლოგი, და თითქმის ყველა თავის მომქმედ პარებში ხედავს იმ თვისებებს და ღირსებას, რომლებსაც ისინი მოკლებული არიან. მამიას ამგვარ ნაკლს ქვეით უფრო ნათლათ დაეინახათ.

ივ. გამბატელი.

(შემდეგი იქნება)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

კვართი უფლის (პენანგი), ამაჰი წყრილობის ლეგენდებში სომხურ-ქართულ-სირიულ მათსრებუბიან, გამოკვლევა ნ. მარსის, გამოცემული 1897 წ. ჰიტოპ-ბურგს (Хитопъ Господень въ книжныхъ легендахъ армянъ, грузинъ и сиринцевъ Н. Марра, издание 1897 г. С.П.В.).

ამ თხზულებაში ბ.ნ. მარს, პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტისას, ის აზრი გაჰყავს, რომ სომხებს და ქართველებს — ამ ორ ტომობით მონათესავე და დიდი ხნიდან მიზობლათ მცხოვრებ ერს ძველიდანვე მხარ-და-მხარ უფლიათ გონების განვითარების გზაზე და ჰქონიათ ერთი მეორეზე მჭიდრო გაფლენა. თუმცა სომხის ერს აღრიდანვე დასმია სირიულ ტომთა დალი და ფრიად გადაგვარებულა, მაგრამ შინაგანი მონათესავე სისხლის კვალი ამ ორ ერთა შორის მაინც არ ამოფხვრილა. ქრისტეს სარწმუნოებას და ქრისტიანულ განვითარებას ეს ორი მონათესავე ერი, დიდი ხნიდან ერთმანეთზე დაშორებული, კვლავ შეუბამს ერთ სარწმუნოებრივ განვითარების უღელში. თუმცა ხალკიდონის სარწმუნოებრივ განხეთქილებას აღრე გაუყრია ერთმანეთისგან ისინი, მაგრამ ქრისტიანული კულტურული ზემოქმედება ერთმანეთზე მაინც დიდი ყოფილა.

მიუტილებლათ ყველაზე უფრო დიდ მნიშვნელებას სხნთ უნდა ჩაითვალოს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება მათ შორის, რომლისგამოც სრულიად შეიცვალა მათი სულიერი სასუქი — ამბობს მარსი. ამ დროდან სომხებს და ქართველებში ხელ-ხელა დამკვიდრდა ქრისტიანული მტნება, მიჩველათ საერთოთ და შემდეგ ცალცალკე... ამჟვ დროდან იწყება სომხებს და ქართველებს შორის ერთი და იგივე ეროვნული თვითცნობიერების შეკავშირება ქრისტიანობასთან და ამასთანავე გაეროვნება, თავისი საკუთარი ეროვნული დაღის დასმა ქრისტიანულ ლეგენდარულ მათსრებუბებზე, რომელთა შორის ბეჭდი ძლიან აღინდელი დროის არის და ბეჭდი უფრო ასხლი დროისა. ასეთმა სულიერმა მოძრაობამ თვით ეროვნულ გამოხატულებასაც მისცა თავისებური ელფერი. ანამც თუ სომხებ შორის, რომელთაც განუვითარეს განსაკუთრებით საღმრთო მწერლობა, ანამც თვით ქართველებ შორისაც, რომელთაც ადრე მოახსენეს სასულიერო გაუქმდნ თავისი მწერლობის გამოყვანა და შექმნეს მდიდარი საერო მწერლობა, რომელიც მხარ-და-მხარ ვითარდება სასულიერო მწერლობასთან ერთათ“.

ჯერ, რასაკვირველია, შორს არის ის დრო, რომ ქართველ-სომხებთ მკვლევართ შემძლოთ, დიდ კრიტიკულ ძიება-კვლევას შემდეგ, გამოარკვიონ, თუ როგორი თან-და-თანობით, მჭიდროთ ერთმანეთ-

ზე გადაჯაჭვული მიმდინარებულა სულიერი განვითარება ამ ორი ერისა ქრისტიანულ ეპოქაში, მაგრამ ყოველივე წვლილი, რომლისამე მეცნიერის მიერ შეტანილი ამ საერთო კვლევას საუნჯეში, პატივისცემით მოსახსენებელია. ერთი ამ გვარი კვლევის ნიმუშთაგანა თვით ის თხზულება, რომელიც ზემოთ დაეასახელებო. უფლის კვართის (პერანგის) ძიებაზე ბევრი ლეგენდებია შეთხზული ქრისტიანობაში, როგორც მართლმადიდებელთა, ეგრეთვე კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანის აღმსარებელთა შორის. მარის გამოკვლევით სომხური და ქართული ლეგენდები ქრისტეს კვართზე (პერანგზე) ეითომც გაღმობებული იყოს ძველი სირიული ლეგენდარული მოთხრობიდან, ხოლო ქართველებს და სომხებს, თითოეულ მათგანს, თავისებურათ გადაეცეთებინოს და თავისი ეროვნული დალი დაესვას ამ მოთხრობებზე.

სხვათა შორის ეს წიგნაკი იძლევა ისეთ მასალას, რომ ცხადათ უარსაყოფელია ის ამბავი, ეითომც შაჰ-აბასს მეჩვიდმეტე საუკუნეში მოეტაცოს კვართი უფლისა მცხეთიდან და 1525 წელს საჩუქრათ გაეზაფინოს რუსეთის მეფის მიხაილ თეოდორეს ძისთვის. თვით შაჰ-აბასი წერილით აცნობებს მოსკოვის მეფეს, რომ ეს პერანგი ქრისტესი მე მოვიპოვე საქართველოში, აღმოვაჩინე რა იგი პატრიარხის კვერთხში ჩამალულიო. ასეთი ცნობა ამტკიცებს, რომ უფლის კვართის წაღება შაჰ-აბასისაგან მართალი არ უნდა იყოს. მართლაც ყოველად დაუჯერებელია, რომ ქართველებს კვართი უფლისა ისეთ სუბუქ რამე სიწმინდეთ მიეჩნისთ, რომ ქათალიკოსს თავისი ხელსაჭერი ჯობით ეტარებინოს. ამ შემთხვევაში ერთი დასკვნაა შესაძლებელი და სარწმუნოც, რომ სპარსეთის გამძვინვარებული მპყრობელი, მტერი ქრისტიანობისა, მითი მოხიბლეს ქართველებმა, რომ დააჯერეს, კვართი უფლისა საპატრიარხო კვერთხშია შემალულიო და ნამდვილი კვართის მაგიერათ სხვა რამ ქსოვილი მიართვეს მტარვალს მის გულის დასაჯერებლათ. ეს ახალი გამოკვლევა მარისა ღირს შესანიშნავა და შესასწავლი.

გ. წერეთელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

კვლის მე-30 №-ში აჩის დასტამბული წერილი ბატ. ბ. ალექსიძისა, სადაც აღწუსსულია ქუთაისის სელასანთა გამგეობის მდგომარეობა და გაგვრით ისწუნიებს სელასანთა სამკითხველს უფროს გამგის თ-

ვის დაწებებს თავის მოგაფლობისთვის. რადგან ეს შენიშვნა გვეხება, როგორც შიდათა მე, ისე ჩემს ორ თანაშემწეს, ამისთვის, სიმართლის სასადაგენათ, უმორჩილესათ ვოსოკთ მაკრიტემულ „კვლის“ რედაქციას დაუთმოს ადგილი ამ ჩვენს წერილს, რომელსაზე მასლობელ №-ში.

1894 წ. ჩვენ წინადადება მივეცით ბ. სელასანთს მამასხლისს, რომ სამკითხველს ჩვენი საზოგადოებისთვის აუცილებელია და ნება ეთხოვა მთავრობისთვის; როგორც იგი ნებადართვს მადე მივედო, მამასხლისის განდევნის საკლესიო. 1 იანვ. 1895 წ. სამკითხველმ მიიღო დაკლებულ ფასებში — გაზეთები: „კვლი“, „იკონია“, „Нов. Обоз.“, „Ремеслен. газета“. უფრ. „მოამბე“, „კვირილი“. „წიგნაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც“, არ დაგვტოვა უფურცლებოთ და სკამო წიგნები გამოგვიგზავნა; როგორც ადგილობრივ გულ-შემატვირთვებზე სკელი შეუწყეს სამკითხველს და დახმარება აღმოუჩინეს, როგორც მატყარაფურათ, ისე ნივთიერთათ და ასე შემწეობით სამკითხველს განადა, მკითხველებზე თან-და-თან იმტა და სელასანთს საზოგადოებაში აღიძრა ვითხვის სურვილი. მან აფერხებდა სამკითხველს ის, რომ მას განაკუბდა ბატ. განდევნა და სამკითხველს ვარებიც მის სურვილზე იღებდა. როცა საუკუნეები დაუწყეს მას ამის შესახებ — ოცი დღის შემდეგ სამკითხველს დაანსებისა — მივიდეთ მისგნით მოწერილობა, სადაც ნიშნავდა ერთ ჩვენთაგანს (სელასანთს) სამკითხველს გამგეთ და ორს (ივანე ჭიჭიშვილს და მამსიმე ქუთათელას) თანაშემწეობათ. მიღებისთანავე მოწერილობის მოკვიდეთ სკელი სამკითხველს განაკუბებს რამდენიც მალ-ღონე და ცოდნა შეგვეწედა; არ ვზოგავდით არა ვითარ შრომას, და მართლაც სამკითხველს სსკა კვლევი დაედა; მკითხველები უფრო მომკემბატენ, ოცდა ათ სელასანთადე წევრათ ჩვენივე, სსკა შემწეობას ვარდა თითო მანათი დაიდგეს წლიური განდასხადი სამკითხველს სასარგებლოთ. გვირსში ერთსეელ ყოველთვის იყო დანიშნული წევრთა ვრება, სადაც ვმსჯელობდით სამკითხველს წარმატებაზე. ერთ ვრებაზე ბ. მამასხლისი ავიჩნეთ სპატიო წევრათ: ჩვენ ვითიქრეთ, სკელს შეგვიწეობს და საშუალებას აღმოუჩინს ასად დაანსებულ სამკითხველსო. მან ჩვენდა სამწუხაროთ, ეს უშირატესობა ბ. მამასხლისისა სიცილიათაც არ იკმადა და ამ სიტყვებით მოგვამართა: „მე სტარმინა ვარ, სამკითხველო ჩემს სასეღზე; ჩემ გამგეობის დაბნაშთაო და თქვენ რაზე იმტყრეთ თავსო! რის წევრობა, რის სსდომა და რის გამგეობობაო, რაგი თქვენ ყოველთვის სამკითხველზე სჯა-ბასი ვაქვთ, ამისთვის ამის შემდეგ სამკითხველს მე ვუმპატრონებო და თქვენ ვი არავის გუგეწებით დამენმართო სამკითხველს მართვაშიო“. აი, ასეთ მკაცრ სიტყვებს შემდეგ ზოგიერთმა წევრმა



აიყარა გული სამკითხველზე და ასე გვიმხსნის: „თუ სამკითხველს ეღიბება ბ. კანდელაკის კლანჭებიდან თავის დაღწევა, ჩვენ ისე ისეთი გულ შემატყვივანი ვიქნებით, რაც ვიყავით და მანამდისინ კი არ თანაგუგრძნობთ“. თუბრა მამასხლისმა ბეჭდულ დაგვიტოვებდა სამკითხველს მართებაში ნუ ერევიოთ, მაგრამ ჩვენ მინც თავი არ დაგვიტოვებია, უფრო ვცდილობდით მკითხველები მოგვეშოვა, რომ მით ცოტათ თუ ბევრათ წაეღვა წინ ნაბიჯი მომავალ ხელსაწილს დასს. ბ. მამასხლისი კი მკითხველებს ვითვისის მაგიერ ქეიფს უფრო უჩნივდა, ზოგს ამ სიტყვით მიმართავდა: „რას იმტყვევ თავს ვითვისით, ერთი ჩაჩქა შენ იუიდე, მეორეს მე ვიუიდი, ის უფრო მარტებელია, ვინეი მანდ ცქერა და თავის ტკეზაო!“ აგრეთვე ზოგს წიგნებს ატანდა დათანხმში ჩაუწვლათ და ღმერთმა იცის რაიღენი წიგნები აკლავს სამკითხველს. ხელსაწილს საზოგადოებამ დადგინა განახენი, რომ სასტატო მოწმობის გამტანს გამორთვას ათათი შაურნი სამკითხველს სასარგებლო, ამ განახენის ძალით, ფულს ყველას ართმევს, მარ სამკითხველს ის ფულები სასარგებლოთ არ სმარდება, ანგარში მის ხელში და ახა ჩვენ როგორ გავბედავთ ანგარში მის თხოვას; აგრე მესამე წელიწადი გადის, რაც სამარტადე ქართული წიგნები ახარია წიგნების დამკაზმავს, ბეჭდულად მივმართეთ რომ დაესხნა ის წიგნები, მარ ჩვენი თხოვნისთვის ყური არ უთხოვებია, უფროსად გაზეთების თხოვას ახა ჩვენ ვინ გვვითხავს, ეს მისი საქმეა, სად და რომელ დუქანში ჰყრია, ვინ იცის. საწერო ფული ერთი მანეთი, რომელსაც ის დაგვბიჭდა, მხოლოდ დახიკება გამოვდა და მოცემისთვის თავი არ შეუწუხებია, თუბრა გაზ. „ივერია“-ში მადლობის სიაში მასაც მადლობა მივუძღვეთ. რაფიელ ერისთავის იუბილეს დღეს გვსურდა სამკითხველთა გვეუერთებინა და მსტოვანი იუბილარის სადღეგრძელოთ შარკელისი გადაგვეხადა და დეპუტატთა თანაგვეგრძნო იმისთანა სასინარული დღესასწაულში, მარ დახმარების ნაცვლათ ბ. კანდელაკმა უფრო სელი შეგვიძალა და დაგვიქუჩა: თუ სამკითხველს გვეუერთებთ და შარკელის გადავიდით ჩვენ ვიქნებით სამართალში მიცემული, როგორც დამტკიცე წესიერებისა და სხვა... ჩვენც დაგვათქმის უბრალოდ დ. სკვის შიშმა, ისევე ჩვენ წევრთა შორის მოგვაროვით ათათი შაურნი და ეკლესიაში გადავინადეთ სამშვიდობო შარკელისი მტროვან იუბილარისთვის და თანაგრძნობის დეპუტატ გვეუბნავთ ქუთ. ხელსაწილის მაგიერ. სამკითხველთა კი

დღემდის უეუერთებელი დარჩა. აი, ამ ნაირ განსაზღვრულში იმეოფება სამკითხველთა თავის გამგე წევრებით, მარ ჩვენ მინც თავს არ ვანებთ, ველოდებით ხელსაწილს საზოგადოების გრძობას, რაც მალე უნდა მოხდეს. საზოგადოება იმედია მისცემს საშუალებას სამკითხველს განკარგებისთვის და აცდიებს იმ განსაზღვრულს, რომელშიც იმეოფება ის დასრუბიდან. და რაც შეეხება ბ. ალექსიძის წერილს, გამგეობის შესახებ, თავიდან ბოლომდე ჭეშმარიტი სიმართლეთა, მხოლოდ რამდენათაც ვიცით მოქმედება ბ. მამასხლისისა, ეს წერილი მათე ნაწილს შეადგენს მისი მოქმედებისა და ეკლესია, რომ ვაგრძა აწეროს, მგონი მთელი წლის „კვალის“ ნომრები მოუნდას 1).

ქუთაისის სასკოლის სამკითხველს გამგე ფილ. ხელოძე.

წევრნი: ივანე ნიკოლოზის ძე ქვიციანი.
მაქსიმე ი. ქუთათელიძე.

ეს ძველი ფულია.

(გუძღვნი სილოვანს)
(გაგრძელება) *



XI.

ანარი იღვა, ხუთშაბათი დილა იყო, შესანიშნავი ღლე მთელი ოკრიბისათვის, რადგან ამ ღლეს ძლიერ იხილა მათმა თვალმა სამივე კვირის განმავლობაში ღრუბლებს იქეთ დამალული მზის სახე და ყველას იმედი ჩიეცა, რომ ღმერთს ქვეყანა არ მოუბოლოვებია.

მთელი არე-მარე დაბურული იყო თოვლის თეთრი ჩაღრით, ამგვარი სასტიკი ზამთრის მომსწრე კიარა გამგონეც არ იპოვებოდა ამ მხარეში და კადეც მისთვის ყველა სასოწარკვეთილებას მისცემოდა. ან კი რით უნდა გაემხნეებია კაცს გული? რადგან ასეთ უჩვეულო ზამთრას, არაინ ელო-

1) ბ. კანდელაკმა ჩვენ რედაქციას წარმოუდგინა თავის გასაქმრებელი წერილი. მარ, როგორც ამას წინეთ გაცხადებდით, დასაბუთებელი არ არის მისი უდიდესი საბუთი: რომ უწლოვანთ და ხელობის უცოდინროთ რომ ხელსაწილის საჩისს ვამდევე, აქამდის განონი დამსჯიდაო!
რედ.

*) ის. „კვალის“, № 34

და ამიტომაც არც არავინ მომზადებულა და თითქოს კიდევაც მისთვის განრისხდა ბუნება და განძრახ მოაგლინა თოვლით წარღვნის მსგავსი სასჯელი: რაკი არ მოემზადეთ და ასე აბუჩათ ამიგდეთ, ახლა მე ვიცი, რათ არ ფიქრობთ, რომ, თუ კი თქვენ ადამიანები ერთმანეთს არაფერს აპატიებთ და სულს ამოხდით, მეც ჩემსას მოვითხოვ და თუ ჩემი სულგრძელობით ერთსა და ორ წელს ვადროვებთ, მესამე წელს მაინც მზათ და პირნათლათ უნდა დამხედეთო. ამ მუქარით მოვიდა იმ წელს ზამთარი და კიდევაც აცნობა ხალხს თავისი ძალა: „შეჭკობა მან თავისი „მფრინავი ჯარი“, დაიჭირა მთელი ცის კამარა და აატენინა სასტიკი სროლა, ხოლო „მქროლელ“ რაზმს უბრძანა:

— შენც მზათ იყავ და თვალყური გეჭიროს ქვეყანაზე, თუ ვინიცობაა, ხალხმა თავის საშველათ სადმე გაქცევა დააპიროს, დაუქროლე და არიე-დარიე მალლიდან ნასროლი ტყვია წამალი, რათა მით მზის შუქი სრულიად დააბნელო ისე, რომ კაცმა გზა ვერ გაიკნოსო.

ამგვარი განკარგულება მისცა მკაცრმა და ხალხის დაუდევრობისაგან კიდევ უფრო გამძვინვარებულ-მოხუცმა მხედართ მთავარმა, თავის ორ საყვარელ რაზმს — ღრუბლებსა და ქარს და ისინიც გულ-და-გულ შეუდგენ თავიანთ მოვალეობის სისრულეში მოყვანას.

10 იანვარს ასტენა ფიცხელი სროლა რაზმმა შავი ღრუბლებისამ, რომლებიც თან-და-თან უახლოვდებოდნენ დედამიწას, თითქოს იერიშის მიტანას აპირებდნენ მასზე. დღე-და-ღამ განუწყვეტლათ ცვივოდა მალლიდან ნასროლი თეთრი და ცივი ტყვია წამალი, რომელიც დღითი დღე ზევედებოდა და მიიმდებოდა. ბევრი სუსტი სახლი და სასიმინდე ჩაღვწა მისმა სიმძიმემ. ხილი და ვენახი ხომ სულ დაამსხვრია. დაიშალა მთელი არე მარე თოვლქვეშ. შეიკრა გზები. შეწყდა მსვლელობა კაცთა და პირუტყვთა. ყველა, ვისაც კი სახლის სიმაგრის იმედი ცოტათ მაინც ჰქონდა, იჯდა შინ გულ-ხელ დაკრეფილი და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

შეძრწუნდა ყოველი სულდგმული. სიცივე, შიმშილი, თოვლით დაბურულ-დაბნელებულ სახლში დატუსალება, უბედურობის მოლოდინით შიში, ცალშვილისა და შინაურ პირუტყვთა შევიწრო-

ებული მდგომარეობა ყოველ კაცს გულს უწყლულეზდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

ერთხანს ყველა მედგრათ შეებრძოლა გამძვინვარებულ სტიქიონს; რამდენისამე დღის განმავლობაში ჯარასავით ტრიალებდნენ ნიჩბებით შეიარაღებულნი თუ სახლის, თუ სასიმინდის, თუ ბეღლის სახურავებზე; მაგრამ, როდესაც თოვლის ზეფი სიმაღლით თითქმის ყველა შენობას აცილდა, მაშინ კი დაჰყარეს იარაღი და ხელ აპყრობილი მიმართეს ზეცას, და მხოლოთ მისგან ელოდნენ ხსნას განსაცდელისაგან.


ამგვარ მდგომარეობაში იყო ქვეყანა ზემოხსენებულ ხუთშაბათამდე. ამ დღეს კი თითქოს დროებით შესასვენებლათ, მეომარი რაზმების მოქმედება შეჩერდა. დილიდანვე აღარ თოვდა და არც ქარი ჰქროდა. აქა-იქ ცა ლურჯათ აჭრელდა. აგერ მზემაც წვერი ჰკრა აღმოსავლეთის მხარეს და მალე თითონაც ნელ-ნელა ამოცურდა. პირველათ რალაც შესაბრალებელი შეხედულობა ჰქონდა მას; რალაც არა ჩვეულებრივათ ციმციმებდა მისი სახე, თითქოს მასაც ზამთრისა ეშინოდა, მაგრამ მალე გამხიარულდა და ისევ თავისი ამაყი შეხედულობა მიიღო, მისმა დანახვამ აქა-იქ გაფანტული ღრუბლის ნაფლეთები დააფრთხო, და ჩქარის ნაბიჯით გაექანენ ცის შორეულ კუთხეებისკენ.

გასპეტაკდა ცა, შეითამაშა მზემ და უხვათ მოჰფინა ქვეყნათ თავის სხივები. თოვლმა ბრჭყვიწია დაიწყო. გაცოცხლდა ქვეყანა; თოვლში დაფლულ სახლებიდან ხალხი ამოძვრა და მადლობის ნიშნათ აღაპყრო ხელი ზეცისაკენ. ყველა ულოცავდა ერთმანეთს გადარჩენას, როგორც ცეცხლის ომიდან მშვიდობით დაბრუნებას მი-ულოცავენ ხოლმე.

შუა წირვის დრო იქნებოდა. X..ის სასოფლო სასამართლოში მწერლის ოთახის კარი შეაღო მამასახლისმა. მწერალი სკამზე იჯდა, თანჯარასთან მიდგმულ მაგიდას იდაყვებით დაყრნდობოდა და რალაც საქმის ქალაღდებს ათვალთვლებდა.

— რისთვის მიხმე ივანე? დაეკითხა მამასახლისი მწერალს შემოსელისათავე! — თუ რამე საქმეზე საქირა ვიყავი, ბარემ წელან გეთქვა!

— კარი! კარი! ეს ოხერი, ამ კარის მოხურვა რომ ვერ გასწავლეთ! შენ მაინც რა დაგემართა, რომ შემოხვალ და კარს ღია დატოვებ?! იმ მამა ოხრი-შვილებმა ჩაფრება ხომ სულ გამათავეს კაცი: შე-



მოვლენ და უთუოთ კარი უნდა ღია დატოვონ! შაქარი ხომ არ შემოდის მაგ კარებში?! ამგვარი საყვედურები დაახალა მწერალმა მამასახლისის, რომელმაც კარები ღია დატოვა.

— შაქარია აბა რა ეშმაკია; შაქარივით თეთრი კია და. თქვა ღრეჯით მამასახლისმა და თან ფანჯარაზე მოზეავებულ თოვლს გადაავლო თვალი.

— კაი მამა გიცხონდა... ერთი შენიც!.. ვკონებ კარგ გუნებაზე ხარ, მე კი აქ ცალკე სიცივე და ცალიე შიმშილი მკლავს. შენიშნა გულნატკენათ მწერალმა:

— სად გაქრი, კაცო, ისე უცებ? ხომ გითხარი, შესამოწმებელი ქალღლები მზათ მაქვს მეთქი, მე მეგონა ჩაფრებთან იყავი, და შენ ლუქანში გაქცეულხარი!

— ჩაფრებთან რა მინდოდა?! ფირანამ არ მომიხენა! წამოდი ერთი არაყი დალიეო და იმას გავეყვი. ერთი კი არა ორიც კი ვხუხუხე; მესამესაც ზედღაუბანდა, რომ სიკეთე გექნა და ცოტა გეცლია.

— მეც ძალიან მიამება ამ სიცივეში არაყი, მარა საქმის დროს საქმე უნდა, ძმაო! ავერ კიდეც მოწერილობა მოვიდა; მალიე გაპარულაძე წარმოადგინეთო. წრეულს კენჭი რგებია სალდათობის და ის კი აქამდის სადღაც იმალება, სირცხელი არ არის! ოთხი თვეა კაცს ვეძებთ და ვერ გვინახავს! მე ამაზე ორჯერ-სამჯერ წინეთაც წაგიკითხე მოწერილობა და, თუ შენ არ მონახავ, მე რა ვქნა? ჩემი საქმე წერაა, მეტი არაფერი, ხომ იცი, ხელმწიფეს კაცი არ დაეკარგება?

— იმე! მაგი ეინ არ იცის! მარა მე არ მეგონა თუ მაინცა და მაინც ასე ჩაგვჯანდებოდენ, თვარა იგი ორჯერ-სამჯერ მე თვითონ ვნახე. რაკი მის მაგიერ სხვაა წასული, ვიფიქრე, ასე არ გამოგვეკიდებიან მეთქი.

— კაცო! ისინი იქნება არც კი გამოგვეკიდონ ასე, მარა თითონ იმ სამაკეროთ წასულის პატრონი არ ანებებს თავის საქმეს თავს და იმისთვისაა, რომ ასე გვიცუტხუნებენ.

— პატრონი არ ანებებს?! გააკმარა მწერლის სტევა მამასახლისმა: თუ მთავრობისათვის სულ ერთა, ვინც უნდა იყოს, პატრონს კისერიც მოუტეხია; მიწეროთ ვერ ვნახეთქო და გათავდა.

— რაფა ვერ ვნახეთქო! რას ამბობ კაცო?

შენ თითონ არ თქვი, მას შემდეგ სამჯერ ვნახეო? ხომ არაფერი გადაუყლაპინებია იმას შენთვის? ხომ იცი, ეს რომ მთავრობამ გაგიგოს, რას გიზამს!

— რას გადამყლაპინებდა, თითონ საკაკლო არ მოეძევა! თქვა ვითომ და წყენით მამასახლისმა: მარა თუ რასმეს მოუხერხებთ და არ წარვადგენთ, კი გვემსახურება მამა მისი.

— არა, ძმაო! მაგისტანა საქმეში სამსახურს გემო არ აქვს: უსათუოთ ბოლოს წაგვამწარებენ. მე შენ გირჩევ ახლავე დაიბარო ის აქ.

— ბიჭო! პეტრია! გასძახა მამასახლისმა მარგიე ჩაფარს, რომელიც მეორე ოთახში ბუხარს გულით მიფიცებოდა. მამასახლისის დაძახებაზე ჩაფარი შემოვიდა და კედელს აეტუზა.

— წადი, ბიჭო! ხეხუევაში და უთხარი მალია გაპარულაძეს: მამასახლისი გიბარებს და ახლავე კანცელარიაში მოდიტქეა.

ჩაფარმა მწუხარებს ნიშნათ ცხვირ-პირი შეკუმუნა და ზანტათ მიბრუნდა კარებისაკენ გასასვლელათ; ეცუობოდა რომ ძლიერ ეზარებოდა ამ უშველებელ თოვლზე თხილამურებით მგზავრობა.

— ხომ არ გეშინია, ბიჭო! თხილამურები ხომ გაქვს?

— კი, ბატონო, კარებში ცხვირის შემოყოფით მიუგო ჩაფარმა.

— ეინაა, ბიჭო! იმ ოთახში, რომ ხმაურობს.


— „დერუნი პოპოჩნიკი“ და წყალობა გაძულე-ბულაშვილია, ბატონო. თქვა ჩაფარმა და მიიხურა კარები.

— ის ბებერი სიდან გაჩდა ახლა?! მიუბრუნდა მამასახლისი მწერალს.

— ალბათ შეილები გამოადგებდენ კიდეც..

ჯერ კიდევ არ გაეთავებია მწერალს ეს უკანასკნელი სიტყვები, რომ კარები კვლავ გაიღო, და ოთახში ოთხი კაცი შემოვიდა. ერთი იმათგანი მორიგე ნაცვალი იყო, სხვები კი ამავე სოფლის უბრალო მუშა გლეხები. გლეხებმა შემოსვლისათნავე მძიმეთ დაუკრეს თავი მამასახლისსა და მწერალს, მერე ფეხებიდან თხილამურები აიძრეს, მიაგდეს კუთხეში და ბუხარის მახლობლათ კედელს აეტუზენ.

— რას გაურჯინხარ, ნიკო? დაეკითხა მამასახლისი ერთ გლეხს, რომელსაც ეტყობოდა, რომ მამასახლისთან სხვაზე მეტი დაახლოვება ჰქონდა.



— ჩემთან ხომ არაფერი საქმე გაქვს?

— არა შენი ჭირიმე, ეს ერთი თვეა კაცი თვლით არ მინახავს და ქე რა საქმე გამიჩნდებოდა. ისე ვიახელი, რა კი ღმერთმა ამისთანა დღე გვალისა.

— ეჰ! შეტავი შეიდობით მოვრჩებოდეთ ამ ზამთარს თვარა აღოქმას დავდებ, რომ ახლა კი არა, არც ამ ორ წელშია უჩივლო კაცს, რაც უნდა შემაწუხოს. თქვა მეორე გლენმა.

— რა დაგემაართა, შე გლახა, რათ გაგტენია გულოვს რამ შევაშინა ასე მწარეთ? ღმერთი სულგობილია. ასე როდი მოიძულეებს ქვეყანას. დღეის იქით სულ კაი დარები იქნება, — ანუკემა გლენები მწერალმა.

— შენ პირს შაქარი, ბატონო! ღმერთმა ნუგეშა და წყალობა ნუ მოგაკლავს; მარა ჩვენ კი ჩვენი დაგემაართა და აწი კიდევაც რომ გამოიდაროს, რას გეშველის? თქვა ისევე მეორე გლენმა.

— რავე, მალხაზა! შენ გეტყობა გულგატეხილი ხარ, ხომ არაფერი გაგჭარებია? დაეკითხა მას მამასახლისი.

— რაღა არ გამჭირვებია, შენი ჭირიმე, სახლი ჩემ ბარობაზე არ გადარჩენილა და სასიმიინდე, მეტი უბედურება რაღა იქნება! ჯერ სასიმიინდე დაემეტრა და რაღაც ორი ტარო სიმიინდი მქონდა ისიც თავლაში ჩაიმაჩნა; სახლის სართულის გატენაც ზედ დამერთო. კინალამ პარუტყვი საქონელიც შიგ გამოვიტყლიტა ჩამონგრეულმა სახურავმა, ერთმა ძროხამ მანც „ქე“ წვილო თქვენი ჭირი. სხვა რაღა იქნება! სიცივე ბევრი გამოეცაღე და შიმშილი. კიდევ მაღლობა ღმერთს, გაცენვილი ღომი დამრჩა შინ, თვარა პავშების საცოდაობა წამწყმედლა.

— შენ, ძმაო! ღომი მაინც გქონია და ზოგიერთებს არც ის ჰქონდათ. მთელ ორ კვირას მოხარულ სიმიინდს ჭამდენ. აბა რა უნდა ექნათ? მე შენ გეტყვი, წისქვილებზე შეიძლებოდა მისვლა და საზრდას ჩამოთქვა. შენიშნა ნიკომ.

— ეჰ! ბიძი! წისქვილი კი არა, სახლიდან ცხვირს ვერ ჰყოფდა კაცი, ისეთი ცოდვის კითხვა იყო. ჩაერია ლაპარაკში მესამე გლენი.

სოფლის კაცა.

(შეძვეტი იქნება)

გ ა ნ ზ ხ ა დ ე ბ ა .

ქალ. ვაჟთა სკოლა ელენე ლუკას ასულის ბანტაძისა დ. ხონში, პირველ სექტემბრიდან ამა 1898 წლისა, ნებართვითა ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქნება ქალების ოთხკლასიან სასწავლებლათ.

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ი ს

კურსით. მოსწავლეთა გამოცდა უნცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დან 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევს 2 საათამდის. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის - ელენე ბანტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მანეთი წელიწადში.

КЪ ВОПРОСУ

О ПОДНЯТИИ ОБРАЗОВАНИЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებას წიგნის მალაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათ წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეკათ. მყიდველთ უნდა მიმართონ ხსენებულ მალაზიას.

(4-2)

საბავშო წიგნი

„ბ ა ტ ა რ ა ლ ო რ დ ი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წეკეთლისა

შასი 30 კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წეკეთლისა.